

სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა ღამს.

№ 9.

თებერვალი 19 1895 წ.

№ 9.

შინაარსი: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა არჩევა.—სხვა-დასხვა ამბები.—სურედღებო ამბები.—პარაზა, დეკსი აკაკისა.—ორიოდ სიტყვა ქართველთა მდგომარეობაზე რუსეთში სვ. ვ. თოფურასის.—აღუქსანდრე გრიბოედოვი და მეუღლე მისი ნინო, ასული აღუქსანდრე ქუცუბაძისა.—პარტი საზღვარ-გარეთელისა.—სიცოცხლის თასი (დუბონტოკოვიან) დეკსი მისა თურქას.—"გვალი" და მესამე დასის მწერლები (ჩენი ლიტერატურული ილიდიუზია) ს. კობლაძისა.—ქართველი მეთხველისაგან.—პრეტენზი მოხრობა ევ. ნინოშვილისა დასასრული.—საქველმოქმედო საქმე.—მცირე შენიშვნა.—წერილი მოსკოვიდან სვ. ყოვანისა—განცხადებანი.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრთა არჩევა.

19 თებერვალს.



ღეს უნდა მოხდეს ზემოხსენებული გამგეობის წევრთა არჩევა. ამისთვის საჭიროთ დაიწინაურებთ, ორიოდ სიტყვა ვთქვათ ამ ფრიად შესანიშნავ ქართულ საქმეზე. უკანასკნელ დღემს ჩვენი წინაპრებისა და თანამედროვე მოღვაწეთა ამ საქველ-მოქმედო საზოგადოებაზე უკეთესა განძი არა ჩვენათ რა მომავალ შთამოგებისათვის. ეს საქველ-მოქმედო საქმე უმაღლესათ ნება-დართული და დამტკიცებულია. გაბედით შეგვიძლია მოვახსენოთ, რომ ის ყველა ჩვენი საზოგადო დაწესებულებებზე უაღრესია, ვინც კი ღრმით ჩაუყურებდა ამ საქველ-მოქმედო დაწესებულების მნიშვნელობას. მისი მეოხებოთ ყოველს ჩვენგანს შეუძლია უშინაოთ აიღოს ხელში ქველმოქმედების ჯვარი და იღვაწოს ქალაქში, სოფელში, მხარაში, ერთი სიტყვით ყოველგან,

საკი ქართველი ცხოვრებს, განათლების გასაერცელებლათ. რომელ განათლებულ ახალ-გაზ დასაც გული შეტყევა ქვეყნისთვის. ვკონებთ, ამაზე უკეთეს სასაპარეზო საქმეს ვერას იტყვირთებს ცხოვრებაში. იმოქმედეთ ხალხში, ეცადეთ მოიგოთ მისი გული და მიუცოლებლათ ეს მოქმედება ჯეროვან ნაყოფსაც გამოიღებს. თქვენი ღვაწლი უქმათ არ ჩაივლის და წერა-კითხვის საზოგადოებასაც მალე მიეცემა ხალხისაგან საქმეო ნიეთიერი ღონისძიება, რომ ერის განათლების მუშაქნი შესაფერათ დააჯილოდოვოს.

მაგრამ ამის გულისთვის საჭიროა სულ ძირიანათ შეიცეკოლოს პროგრამა გამგეობის მოქმედებისა. რაც ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში მოქმედების პროგრამა მუშაობდა, იმან მოქმემა თაერის დრო. ამიერიდან გემართებს სულ სხვა გზას დაეადეთ, რომლის ნებასაც გვაძლევს თვით დამტკიცებული წესდება. რასაკერეეულა, დიდი მადლობის ღირსნი არიან ის გამგეობის წევრნი, რომელნიც აქამდის შრომაობდენ ამ საქველ-მოქმედო საქმეში. ბგერი კა-

რგი საქმე გავიკეთეს მათ. ბათუმში, ელადიკავაში და სხვა-და-სხვა სოფლებში იმათი რჩევით, იმათი კეთილი ზე-გავლენით უკვე გაიმართა შკოლები. დიდს უმადლოებას გამოიჩინდა საზოგადოება, რომ შესაფერი მადლობით და ყურადღებით არ დააჯილდოოს ისინი ზანგრძლივი უსასყიდლო შრომისთვის. მაგრამ აწ კი დროა, უფრო მოუძღალო ენერჯის მქონე კაცები შეებან ამ საქმელ-მოქმედს საქმეს. აქვე ვსტე უნდა დავძინოთ, რომ ბევრათ სასარგებლო იქნებოდა საქმისათვის, წერა-კითხვის

გამგეობის სათავეში ჩამდგარიყო ისეთი ენა-მე-წერა-მომადგენელი ქართველებისა, რომელსაც უმაღლეს მთავრობის სფერაში საპატიო ადგილი უქირავს. რა-ცა შეეხება დანარჩენ გამგეობის წევრებს, ისინი უნდა იყონ ჰაბტუკაზის ენერჯით აღჭურვილნი და საკმაოდ გულშემმატკივარი თავის ერისა. არ იქნე-ზოად ცუდი, რომ სხვათა შორის გამგეობის წევრათ მოგვეპატრონო თვითისის ოლქის სასამართლოს ერ-თი საუკეთესო სამოსამართლო წევრთაგანი.

გ. წერეთელი

სხვა-და-სხვა ამბები



ამტრედიაში წელსაც მობრძანებულან ის ევა-ბატონები აბრეშუმის თვლის გასაყიდათ და გასაერთელებლათ მიუღს ქვემო იმერეთში, რომელთაც წარსულს წელს ასე დაზარა-ლეს ჩვენი ხალხი ავთამყოფი თვლის მიყიდით. კარგი იქნებოდა მთავრობა მიუღებდეს დროზე თა-ერს ზომას და აუკრძალავდეს ამ ეპირებს საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი თვსლების გაყიდვას და სამა-გივროთ კი კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მი-აწვდენდეს უფრო სად თვსლს.

თ. მინგრელის სიძე, პრინცი მიუზატი, გა-დაიკვალა. ჯერ არ იცან, რა იყო ამ უბედურების მიზეზი.

განჯაში ორ თებერვალს გადაცელილა ერთი პატიცემული ქართველი მოხუცებული, გვართ ნო-ლია. მისი შვილებით ბევრი ქართული წიგნი გავრ-ცეულდა განჯულ ქართველებში. ეს კაცი ყველას აკეთიზებდა მშური ერთობრივი მოქმედებით. მისი გამეღ ექვსი ევრსის მანძილზე ხელით წასვერნეს მომეგება განჯაში დასაქრძალავით. მამა მძინარა-შეიღმა და ტელეგრაფის მოხელემ გენძებამემ გრძინა-ზერი სიტყვა წარმოიტქვეს მის დასულავებზე. განსვენებული ყველა გავირებულებს ეწერდა და, რაც შეეძლო, თავის მომემ ქართველებს ხელს უმა-რთავდა. საწვალის სიცილის ქაშს ემეწებოდა თა-ვის აზნაავებს, აქ ნუ დატოვებთ ჩემ ძელებს, სამ-შობლო სამარხში წაძილეთ.

განჯელი

ს. ზვარციანი (ზემო რაჭიდან) გვატყობინებენ: „ეკლის, № 5-ში იყო დასტამბული ეინლაე ზემო რაჭველის წერილი, რომელიც საესე იყო ცილის-წამებით. ს. ზვარციანი მართალია ცხობრებენ თ. ერ - ები და გლენები კირვლიძეები, მაგრამ ეს ერ-თი საუკუნეა ამათ შორის არავითარი შერი და მტრობა არ მომდარა. მართალია პ-ნ ერისთავა-ლეგისავარა კრვალციე მისი სიამაყის გა-მო მკლავში დაჭრა და რადვან თავს ეერ მოუვარა, კიდეც გადაეუბებულრი ამ ტროლობას. პ-ნ ერ-ე თითონაც წულა შემდეგ ამ საქმეს, მაგრამ რალას უშველიდა საწვალ გლენს. გონია, ზემო რაჭველს ისიც არ გაუტყა, რომ ყოვლად მოწყალე მანიფეს-ტმა კიდეც ვათავისუფლა პ-ნ ერ-ეი ამ ხიუ-თისავან. მართალია, პ. ერ-ს მეორე გლენთან იე-ნე კ-ძესთანაც მოუხდა ჩხუბი: გლენმა ჯოხი მი-უქნია, პ. ერ-ემა ხანჯალი მიავება და უტაბედათ კლავში დაჭრა, მაგრამ თითქმის სისხლიც არ გამო-სელია. თითონ გლენმა იგრძნო თავისი დანაშაუ-ლობა და ბოლიმუტ მოითხოვა პ. ერ-თან, ძმა პ. ერ-ისა, ი. ერ-ეი, ეს ხუთი ექვსი წელიწადი რუსეთისკენ მსახუროებს და ზემო რაჭველმა იმისი მიხტრამა დაუშვილის სახლში საიდან მიავიგონა, კაც-მა არ იცის.

ის კი არა თავდა-ზანაურობა ყოველ ქაშს მო-წადინებულია და მაცადინი ხალხის მეთაურობისა უმეტეს ხარისხამე, არა თუ მშრომელი ხალხს ხოციისა, რაოვარც ამას ზემო რაჭველი ამტკიცებს.

თ. რ. ერ-ეი

ამ ორი კვირის წინათ ს. ლუმატონია (გორის მაზრა) თ. ხერხეულიძის ქალი მითხოვდა გლენს ლაშიძეს, სასამართლო ეს ვარემოება, რადვან თავდა-ზნაურობასა და გლენებს შუა ასეთი ნათესაობრი-ვი მქიდრო კავშირი უფრო დაახლოვებს და გავრ-

თიანებს იმათ საერო საქმეებში, თუ თავდა-აზნაუ-რობის გონების წარმატება შეკავშირდა მხნე და ძლიერ ფიზიკურ გლეხის ავებულებასთან. ისინი აღარ იუკადრისებენ ერთმანეთის მხარში ამოდგომას და ეს ხომ თავდებია მომავლი ძლიერებისა. ჩანს, რომ „ჩატებითი ხიდი“ თავადებსა და გლეხებს შორის, თუ კი ოდესმე იყო ასეთი ხიდი გადებული, შეკეთების გზას დადგამია. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც კაცს ჩამომავლობით კი აღარ დაფასებენ, არამედ პირადი ღირსებით:

„ათასთ გვარი დაუასდა
ათი ათასთ ზრდილობა,
თუ თვითონ კაცი არ ვარგ,
ცუდა გვარიშვილობა“.

ა. ჩ.

* *

ამ დღეებში „ქალის“ რედაქციამ მიიღო დასაბუქვით დღეუტ მკვრელისაგან მოთხრობა „საშინელი ქარიშხალი“ და ვეფაშვეცლასაგან მოთხრობა „მუსტელა“.

* *

საყურადღებო ამბები

(„გველის“ რედაქცია)



უშინ მე შემთხვევით დავესწარი თფილისში კალოუზნის ეკლესიაში წირვაზე. პატროსნებას ეგუტეებით, რომ მრავალს აღვიღოს და შესანიშნავ ტაძრებში დავსწრებიერა წირვა-ლოცვებზე, მაგრამ არცერთ ეკლესიიდან არ გამოყოლია ისეთი სასიამოვნო ღრმა შთაბეჭდილება, როგორც ამ ეკლესიიდან გამოვიტანე. წირვა იყო აქ ნამდვილი ქართული და გალობაც ქართული. ბეგრს ეკლესიაში მოისმინეთ წირვას და გალობას ქართულს, როგორც ქალაქებში, ისე დაბებში, მაგრამ აქაური წირვა-გალობა სწორეთ ბევრთ განსხვავდება სხვა კრებულთა წირვა-გალობისაგან. წირვას მღვდელი ნამდვილი ქართული კილოთი ჭქართული გამომეტყველებით, ასეთივე კილოთი მთავარ დიაკონიცა: ამ შეწიერ კილოზე გალობენ ქართული მგალობლები. არ იცითხათ, თუცა აიანეს მგალობლებზე? ლატბარი ვახლავსთ ზაქარია ჩხიკიშვილი და მოწაფეებთ თფილისის სათავდა-აზნაური შკოლის მოსწავლენი. სათავდა-აზნაური შკოლის ინსპექტორი ამ მგალობლებს ჰგზანის სხენე: ბულ ეკლესიაში მუქთათ, არა საფასით, არამედ თა-

მთავრობის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი, რომ რვა თებერვალს, როცა პეტერბურგის უნივერსიტეტის დაარსებას დღესასწაულობდენ, მონთა საყოველთაო არეულობა ქუჩებში შექვიფიანებული სტუდენტებისაგან; ბევრი უჩრჩეს თურმე პოლიციელებმა დაშოშმანებულთიყვენ, მაგრამ არა ეშველათ რა. ყველაზე უფრო გაცხარებული არეულობა ყოფილა მიხეილოვის მანეჟში, ცირკში, პატარა თეატრში, საცა წარმოდგენა უნდა შეწყვიტათ, სემნოვის ხიდან, ტუმაკოვის შენობაში, დიდი იტალიის ქუჩაზე, ეკატერინის, ქარაგანის ქუჩებში, ჩერნიშევის შესახვევში, გარეთ უზნის პროსპექტზე, ვლადიმირის და ნევის პროსპექტზე, პალკინის რესტორანში, საცა ფანჯრები და კარები სულ დადღეწა. ქუჩებში ნამდვილი კრივი და ცემა იყო გაბაჩოული. პოლიციის ცნობით დაიჭრა თერამეტი კაცი ანიჩაეის ხიდან „ფორნიკების“ რაზმი იყო დაყენებული აქაც საზოგადო ჩხუბი გაიმართა და სტუდენტებს ვარდა ბევრი გარეშე პირთაგანი დაიჭრენ. ამ ამბავს მთავრობის უწყების სიტყვით იმ-სთვის აცხადებდენ, რომ ბევრი ვახუთადებული ხმები მოსკოვ ამ დღის არეულობის შესახებ.

ვის მოვალეობის აღსასრულებლათ. შევირდებს ისე კარვით შეუსწავლიათ გალობა, რომ ულოტბართაც შეუძლიათ გამოვიდენ. სწორეთ სააზნაური შკოლა ამ შემთხვევაში ერთათ-ერთი შკოლაა, რომელიც კემეზარით ასრულებს საზოგადოების ქრისტიანულ მოთხოვნილებას და ბუნებრივს აღზრდის საქმე დაუყენებია მკვიდრ საფუძველზე. რატომ არ მოახდენენ განკარგულებას ჩენნი დირექტორები, რომ თავიანთი საკამებო შკოლის შევირდებიც მაჩვიონ წირვა-ლოცვებ სიარულს და გალობას ისე, როგორც ეს შემზაულა სათავდა-აზნაური შკოლას!..

მომეცით ნება, ბ-ნო რედაქტორო, თქვენის გაზეთის საშუალებით გულისთადი მადლობა გამოთუცხადო 1) თფილისის სათავდა-აზნაური შკოლის ინსპექტორს, რომელსაც ამისთანა შეწიერი წესი შემზაულა რწმუნებულ მისდამი შკოლაში, ქრისტიანული ზნეობის და სარწმუნოების აღორძინებისა და განმტკიცებისათვის, 2) ბ-ნ ლოტბარს ზ. ჩხიკაძეს მისი გულ-მოაღწენ მეცადინეობისთვის ქართული გალობის შესასწავლებლათ და 3) თვითონ მგალობლებთ შვირდებთს გუწდს.

გთხოვთ, ამისთანავე წარმოგზავნილი ხუთი მანეთი ვადასცეთ მგალობელთა გუწდს მოსწავლეებს ხილისათვის და ეს სამოციოდე წიგნები ჩენნი გამო-

ცმანი ზნეობრივ შინაარსისა და სასარგებლო საკითხებზე, ღირებული თუთხმეტე მანეთისა, როგორც მკვლევარსა გუნდს, ისე სხვა მოსწავლეთა. ბნ-ლოტბარს მიერთებენ ყველა ჩვენგან გამოცემული წიგნები ქვეშე ცალკე.

არ შემიძლია აგრეთვე გულითადი მადლობა არ გამოუტყვადო პატივცემულ კრებულს იმ შევნიშვნის კილოთა წირვა-ლოცვის აღსრულებისათვის, რომელიც მათ ასე კარგათ შეურჩენიათ, თუმცა ერთ დროს, ან სხვა ადგილზე, ნიღაფ სლიანიურათა წირავდა ხოლმე, და იმ შევნიშვნის მხურის და მამაშვილის განწყობილებისათვის, რომელიც მათში სუფევს და ასე შევნიშნათ მოქმედობს მათ სამწყსოზედაც.

რა სასიამოვნო იქნებოდა და როგორ საუკუნოთ დღეებამდე, ქუთაისის სათავადაზნაურო „შკოლის ინსპექტორსაც რომ ნაცლათ სათავადაზნაურო ბანკების საქმეებში ვარდისა და მონაწილეობის მიღებისა წაებათ თვლისის სათავადაზნაურო „შკოლის წეს-წყობილებისათვის და შევირდების გუნდი გამოეყვანა ეკლესიაში და მლოცველების გული დეტურა ამისთანავე გალობით!.. ვანა ხელს არ უწყობს მათ იმერეთის ხალხის გლობის სიყვარული და შევნიშნა ხმები მოწოდებით!.. ყველაფერი ხელს უწყობს, მაგრამ სურვილი კი არ არის!..

დამ. დ. ლამაშაძე

* *

ქუთაისი. ბნ 3. გ—ლი იუწყება ექიმის ს. მესხის ღვაწლს სამტრედიის არე-მარე სოფლებში და შემდეგ რკინის გზის სამაზნურში მის გადასვლას. ს. მესხის ღვაწლი უთუთო სასარგებლო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს და მით უფრო საწყენია მისგან ამისთანა ადგილის მიტოვება და უფრო მსუქანი ლუქმის განყოფილება. სამწუხაროთ ამისთანა მკვლევარი ბნობია, ჩვენი ექიმები უმეტეს ნაწილათ მიმდევარია იმ ხალხის სიბრძნისა, რომ „სადაც არ იყოს, ცოტაც კარგადაა“ და არა სხვა რამ კაცთა მოყვარულთა იღებებს, ბიზანტიზმით ამისთანა ადგილებში, როგორც მკვლევართა სამტრედიისა და სხ.. მხოლოდ დროებით. ს. ჯიხიაშვილი იყო ერთ ხანს ერთი უნივერსიტეტში კურს-დამთარგმნელი ექიმი ბნ-ი—დემ, რომელმაც ხალხის ნდ—ბა მოიპოვა და ხალხიც არავითარ ღონეს არ ზოგავდა, რომ ეს ექიმი თავის სწავლის საშანავათ წაეყვანა. მარა რაი რომ ბნ-ი ე—დემ უმაღლესი სამაზნურის ადგილი იყო, სოფელი მათგან. ეგ, რასაკვირველია, მისი სრული ნება და მოდელი ეინ ყოვლებმა, იმან თავისთვის იძე-

ცადინოს. მე მხოლოდ ის მიწა ვთქვა, რომ სოფელი ისეთი ყოფი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ნასწავლი ექიმი ვერ დააფასოს და „მარჩიელ-მკითხავენზე“ უპირატესობა არ მისცეს, მარა, რა ქნას სოფელმა, როდესაც მისი ბელი მარჩიელებზეა მოვლული. მე ეცი კულაშში, ურჩიების უბანში, ერთი მკითხავე ურჩი, რომლის ცხოში მუდამ დღე ორი-სამი ცხენი აბია; ავთომყავების კირისუფლები მიწასვეს აგრეთვე, თუ როგორ შეუბანებიათ ეგ მატყუარა მარჩიელი მათ თავის ცხენზე და თითონ კი ქვეითათ დადევნებინათ თავის სწავლთან წყაყყანათ. ამისთანა მკითხავეები რამდენია? იგივე ეცი, რომ მთავრობის განკარგულებას მათ შესახებ უქმათ ჩაუვლია, ღვდლის ქადაგებაც თავის ვრში ფუქი ყოვილა. ეს კი ნამდვილი ფაქტია, რომ მათი ზეგავლენა დიდდ შეუმცირებია მხოლოდ ნასწავლი ექიმების მეტოქობას. მაშასადამე სოფელი განსაზღვრავს არ არის თავის ცხო-მარჩიელთაში. აქ ბრალი იმათ ედებათ, ვისაც შეუძლია მისი გამოსნა და ის კი უფრო შემოსავლიან ადგილს ეძებს და ხალხს მარჩიელების ანაბარა ტოვებს. ყველას სრული ნება აქვს, უთუთო ისე მოიქცეს, როგორც თითონ ჰსურს, მაგრამ ეს სრული ნება მაინც ვერ ათავისუფლებს იმათ სოფლის მოვალეობისაგან. როდესაც ხალხიც ნასწავლი ექიმებს მარჩიელებზე უპირატესობას აძლევს და არც შესაფერის ღონისძიებას უზრუნველ მათ პატრონად, დიდ საწყენთ ურჩება მათი გაცლა, ექიმებიც უნდა აფასებდნენ ამ გეარ მოვლენას და ასე უნუფეროთ არ უნდა ტოვებდნენ მას და, თუ მაინც და-მაინც მსუქან ლუქმას გამოეკლებთან და ხალხის სამაზნურზე ხელს აიღებენ, იმ შემთხვევაში, რა ეუყუთ? ჩვენც მადლობას ვეტყვით მათ პატივისცემისათვის, მარა „გაუმარჯოს“ და „ვაშას“ კი არ ეუძღვნით და არც არიან ამისი ღირსი.

კ. ა—ძე

* *

ქუთაისი (ხონის ნაწილი) 21 იანვარს შედგა კუხ-გუმბის გამოსახებულ-შემნახველ ამანავობის წლიური კრება, რომელსაც დაესწრო ორასამდის კაცი, თუმცა ის დღე საქმიანდღე იყო და ამხანავობა უფრო გლვხთავან შედგება. ამ დროს ჩვენში, ნამეტან ასეთ თბილ ტარისებში, გამაღებელი ევენახის მუშაობაა. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ექიმი პ. ი. ჩხ—შილი. კრებამ ისურვა სხვა საკითხებზე უწინ მოგესმინა ანგარიში სამხანავო სიმინდისა, რომ ამით გავთავისუფლებინა ამხანავობის არა-უწყობილადანი, რომელ-

ნიც სასიმიდღეში კი მონაწილეები არიან. ანგარიში-
დან აღმოჩნდა, რომ, თუმცა საამხ ნავთ სასიმიდის
გახსნას, რაღაც მისდა ბედათ თუ უბედობთ მოუსავე-
ლობის წელიწადებიც თან დაჰყვა და ხალხიც წინა-
ნდელი „საზოგადოების ბედლების“ უგზო-უკვლოთ
გაქრობითი დღესაც ერთობ გულ-გატეხილია, მაგრამ
მაინც ამ ორ-სამ წელიწადში ათასზე მეტი გოდორი
(ფუთიანი კალათი) სიმიდი შეკრებილა საამხანაგო
სასიმიდღეში, რომლიდანაც ხუთას გოდორზე მეტი
გავსებულა (ბართების ჩამართმევით) ისევ საზო-
გადოებაში და ერთი იმოდენი დღეს სასიმიდღეშია *).
კრების ყურადღება მიიქცია ერთმა სამწუხარო ამბა-
ემა. ნათქვამია კარგ ოჯახშიაც გამოკრევა სადმე
ერთი მახინჯია. ამხანაგთა შორისაც გამოჩენილა
თურმე ერთი თუმცა შეძლებული, მაგრამ უშვილ-
ძირა და უსულ-გულო კაცი, რომელიც თურმე
სოფელში ხალხს აბრეყებდა, რომ სასიმიდღეში სი-
მიდი არ შემოეტანათ. კრებამ დაადგინა: იმ კაცს,
შინას, ჩვენი ამხანაგობა არ სურებდიაო, ამიტომ იგი
გვათავისუფლოთო, ე. ი. გამოკრეცხოთ ამხანაგო-
ბიდან, რომ მერე ჩვენზე ცუდი ნათქვამი აღარეინ
დაუჯეროსო.

ამას შემდეგ კრება შეუდგა გამსახებელ-შემ-
ნახველი ამხანაგობის წლიური ანგარიშის მოსმენას.
როცა არა-ამხანაგები მოაკლდა კრებას, დათვლილ
იქნა ამხანაგობის წევრნი, რომელნიც შეადგენენ ამ-
ხანაგთა მთელი რიცხვის — 329-ის — თითქმის ნახევარს.
ანგარიშიდან მოკლეთ რომ ეთქვათ, აღმოჩნდა შემ-
დეგი: საანგარიშო წელს ამხანაგობას ორმოცდა-
შვიდი ათას მანეთამდის მოუტრიალებია, ე. ი. მიუ-

ლია 46744 მ.—89 კ., გაუცია 46656 მ.—59 კ.,
და ახალი წლის დამდგეს დარჩენია ათას-სამას მანე-
თზე მეტი (1339 მ.—59 კ.), რომლიდანაც ნაღ-
ფულათ კასში ჰქონია 594 მ.—59 კ., მოგებიან
ბილეთათ 245 მ. და ქონებათ 500 მ. სულ დღეს
ამხანაგობას აბალი (22067 მ. 29 კ.) ოცდა-ორ
ათას მანეთზე მეტი. აქიდან წილის ფულია 9951 მ.
26 კ., სათადარიგო თანხა არის — 680 მ., მოზარბუ-
ლი ფული — 9840 მ. — 96 კ. და წმინდა მოგება
საანგარიშო წლისა — 1394 მ. — 62 კ., რომლიდა-
ნაც შეხვდათ წვერთ დივიდენდა მანეთზე 14 კ.
(14¹/₆). კრებამ ანგარიში ერთხმით დაამტკიცა.

კრებაზე სხვათა შორის აღძრულ იქნა ერთი
საყურადღებო კითხვა. ვის არ გავგონებათ ჩვენებურ
მეზარბუმეთა გაქირებული მდგომარეობა. ჯერ
საღ თესლს ვერ შოულობენ, რომ აბრეშუმის მოსაე-
ლელი შრომის შესაფერი ნაყოფი მოიწიონ, მერე
რასაც მოიწვენ, იმასაც ვერ ასაღებენ, რადგან არც
პარკის ვახშობა იქიან და არც კარგ ძაფათ ამოღება;
ქსოვისა და რთვის შესახებ კიდევ რამდენი რა გეა-
კლია — ეინ მოთელის... საჭირო არისო, მოხსენდა
კრებას, რომ ჩვენ, მეზარბუმეებმა, ჩვენვე დავეხმა-
როთ ჩვენ თვისო: დავარსოთ ამხანაგობა, შეედა-
გინოთ თანხა და თესლიც ემოვოთ, პარკის ვახშო-
ბაც ეისწავლოთ, ძაფთ ამოღებაც გავაუმჯობესოთ
და ქსოვაკო. ერთი სიტყვით ჩვენი მოწეული აბ-
რეშუმები ჩვენვე გავსალოთო. კრებამ დიდი სიამო-
ნებით და, როგორც მას ეს თერამეტი წელიწადია
ჩვევია, სრული ერთსულობით მიიღო ეს აზრი და
მიანდა ამორჩეულ კაცებს საჭირო წესდების შედ-
გენა და სიტყვის საქმეთ ქვეყა...

ამაშინ ჰქვია (იესო) მოწაფეთა თვისთა: ეი-
თარმელ სამკალი ფრიად არს, ზოლო მუშაყნი მცი-
რედ, ეეცდრენით უფალსა სამკალისასა, რათა გამო-
ავლინინეს მოქმენდი სამკალსა თვისსა* (სახ. მათ.
თავი 9 მუხ. 37).

ნარ.

კ ა ნ ა რ ა მ ა *)

(მკლავოებს)



მხრე-ტეტია — მიხაკ
და ლეიტკელა თოღია,
ეინც ქართულს გამეგრულებს,
სუყველა პედაგოგია.

„კორფი“ და „ეოდოვოზოვი“,
„უშინსკი“ შეუსწავლიათ;
„ესტალიო-დისტერევები“
არშიათ ვარე ავლიათ.

შოლოთ მას იმეორებენ,
რაც სხვისგან გაუგონიათ.

*) ხეილ „ეგალი“ № 8

სტრამში დაბადებული
ნოქლოროდელი ჰგონიათ!..

მათთვის არც გვარი, არც ტომი,
არც სწავნიარი ბუნება!..
სამაიმუნო გამხდარა
მათა კეკა და გუნება.

აი, ხომ ხედავთ ამ ბატონს,
რომ ჰგომობა ჩვენსა შკოლასა
და მითი გულს უკეთებდა
მთა-გადაღმიელ მოლასა?

ცხადათ აქ იყო, ჩუმათ — იქ,
მტრისა და მაყვრის მსახური!..
ჩაზისმარკა: არ დასწვა
არც მწუელი და არც შამფური.

მას თურმე პედაგოგობა
დაჰქონდა გასაყიდათა
და ჩვენი ახლოგაზლობა
დაიდგა გზათ და ხიდათა.

და რაც უნდა, იზოვნა...
აუხდა გულისწადილი!..
ლღეს ეძებს მარტო მეგობრებს,
მზათა აქვს მათთვის სადილი.

იცის, რომ კუჭი მადლარი
ადვილი მოსაგებია!..
მოიხიბლება: ცუდს აქებს
და დაჰმობს, რაც საძებია!..

იცის და მიტომ პატიჟობს
დიდს და პატარას ყველასა...
მაგრამ ვის? ინტელიგენტსა
ფუჰსა და ლორ-მუცელასა.

იოლათ წვა მათიფაც...
ბრმა და ყრუ არის სოფელი:
მოყვარე მტერი ჰგონია
და მტერი — შემამკობელი.

აი, იმასთან მეორეც
მოდის და მოიფხორება...
ვითომ ვერ იცნობს მოლასა!..
ჩუმათ კი ვანბორება.

ეტყობა პედაგოგის
ჯერ მაგას არა სცხებია:
ვერ შეუფნია სხვისი რამ,
თავისიც დაფიწყებია!..

ალარც აქ არის, ალარც იქ!..
ჩამდგარა ორთა წყალთ შუა!..
გამოღმა გრძნობა დაჰკარგა
და გაღმა დარჩა მის კეკა.

მაგრამ ხომ გავგონაით:
ქვეყანას უმუხლოსა
ვირს ვარდისახარს ეძახდენ,
რომ ხელი არეინ ახლოსა?!

მესამე? მაგრამ მესამე,
მეთვ, გინდა მესამე!..
სულ ერთი გვარის არიან...
შემისწავლია მე ასე.

და რაცა გამოერევა
იმათში თითო-ოროლა,
როგორც ყვევებში ბულბული,
ანუ ჩხიკვებში ტოროლა.

აჩივლდებან დიდები,
ალარ აძლევენ შევლასა!..
ან დათვის კერძათ გახდიან,
ან შეაჰმევენ მელასა.

ვინდა გარჩევეს პედაგოგ
უგვაროსა და გვარიანს,
როდესაც ერთი ფასა აქვს
კეთიბეცსა და ეკრიანსა?...

ორიოდ სიყვავა ქართველ მოსწავლეთა მდგომარეობაზე რუსეთში



უსეთში სხვა-და-სხვა ერთა შორის ქართველებს თავისი წარსული უპირველესი ადგილი უჭირავთ; მაგრამ აწმყო მდგომარეობა მათი განსაკუთრებით განათლების მხრივ თითქმის ყველა შემოსწავნებულ ერთეულს უკან არის ჩამორჩენილი. არას ვიტყვი თვით რუსებზე; ავიღოთ მაკლდონი პოლონეთი, ფინლიანია და თუნდაც სამხრეთი, რომელი ძირეული სამშობლო ისმალეთშია და არა რუსეთში; ერთი თვალის გადავლება-ლა საჭირო, რომ დავინახოთ, რა გაცილებით დაწინაურებულან ისინი სწავლა-განათლებაში და რა უკან ჩამორჩენილან ამ მხრივ ქართველები. როცა პოლონელები, ფინები, სამხრეთ ასობით ითვლებიან სახელმწიფო, თუ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში, ქართველებს ძლიერ ათ-ათიოდელა ეყოლებათ მოსწავლე. თუმცა ეს გარემოება ძლიერ სამწუხაროა ჩვენი თვის და ამიტომაც არის მიზეზების გამოკლება საჭირო, მაგრამ ამ წერილში მე სულ სხვა მიზანი მაქვს და სულ სხვა საგანზე მსურს მივაქციო მკითხველის ყურადღება.

საუჭკებელია, რომ რაჟი ასე ცოტაა ქართველთ მოსწავლეთა რიცხვი, სწავლა-განათლებაზე ღვილობერ მდიდართა და ხარისხოვანთა ქართველთა მულოები. ყველგან ასე ყაფილა: სწავლა-განათლება პირველთა უკვამათ მაღალ წოდების და მდიდართა შეილებს; შემდეგ იგი გავრცელებულა საზოგადოებაში და გამხდარა საყოველთაო კუთვნილებათ, იხრალათ. თუ ეს აზრი მართალია, თუ მართლაც ქართველ მოსწავლეთა რიცხვი გადამეტებთ მაღალწოდებისა, მაშ ისინი უმეტესათ უზრუნველ ყოფილი უნდა იყონ მატერიალურათ. ნამდვილი კოზის გვიჩვენებს იმასა, რომ ქართველი სტუდენტები, თუმცა მათ რიცხვში მეტ-ჯერობით თავდა-აზნაურობა მეტობს, ყველა სტუდენტებზე ღარიბნი არიან. ამ ას ქართველ სტუდენტთა შორის ორმოცდა-ათი მინც მშვიერ-მწყურვალთა, დაწინაწლობს; ეკების რაიმე სამუშაო იშვოვს და სამუშაოდან ხელს არ აიღებს რაც უნდა ძნელ პირობებში იქნას იგი ჩაყენებული. ეისაც მსურს, ადვილათ დასამტყიცებელია, რა წრეს გასულ ჯაფის ეტანება ქართველი მოსწავლე უცხოეთში. მაგრამ როგორც ეტყობა, ამის ვაგების მსურველი საქართველოში ძლიერ ცოტა უნდა იყოს, რადგან არა ერთხელ წერებულა ამია შესახებ, არა ერთხელ უყენებდით ქართველ მკითხველისათვის ჯოჯოხეთური წვლები


თავისი შვილისა, ან მოამისა რუსეთში, თუ სხვაგან და მას ჯერაც არ უთხოვებია ყური ამისთვის...

მე არას ვიტყვი იმ ქართველზე, რომელიც არ მოშორებია თავის სოფელს, ან რომლის ცხოვრება მთლიან შთაურთქვას ადლსა და დახლსა. მე შროლოთ მაკერებებს მოწინავე, განათლებულ ქართველთა გულგრილობა, მადლობა ღმერთს. ერთ ღირის იმათაც უსწავლიათ რუსეთში, უნახავთ თავიანთი თანა მოამეთა მდგომარეობა. როცა ან თვითონ, ან მათი თანამემამულენი დაბადას იწყებოდენ უქონლობისა გამო და ყოვლად უმწეოთ, თავის ანახაურათ იყვენ მიტოვებულნი, ნუ თუ არ ხედავენ ისინი, რა მამაშვილურათ ზრუნავენ და გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ თავინთ შეილებს სხვა ერთა წარჩინებულნი? თუ მაშინ ქართველ გაკირებულთა მოხმარება არ შეიძლებოდა, ეს იმის მიზეზი იყო, საზოგადოებრივი ცხოვრება მაშინ საქართველოში არ მოიპოვებოდა. ახლა კი სულ სხვა არის: ახლა გავიხსოვთ, რომ გაიღვიდა საქართველოში, ოღონდ გზა უჩვენეთ ქართველობასა და ის საზოგადო საქმისათვის თავის ძალღონეს არ დაზოგავს! კარგი და პატიოსანი. თუ ეს ასე არის, რატომ არ ითავებენ ცხოვრების სათავეში მდგომი ქართველები და რატომ არ შემოირიებენ მთელ ქართველობის ძალას, რატომ არ შექმნიან ისეთ რაამე, რომელმაც სამუდამით ქართველ მოზარდ თაობის ღარიბი ნაწილი უზრუნველყო?

კერძო პირი მიხარებას თავის შვილს სასწავლებელში, საცა მთავრობის დახმარებით და თავისი მეცოდინებით ბავში სწავლას ამთავრებს; შემდეგ შედის უმაღლეს სასწავლებელში, როცა თავის ძალღონეს საყველმჟღადო ბრძოლას ანდომებს და ქანც გამოლოებული, უღროვით მობერებული ბრუნდება შინ. (კიდევ კარგი, თუ ცოცხალი მინც ჩამორბუნდა თავის სამშობლოში, მოხდება ისიც, რომ უძლეველ ბრძოლაში თავსაც წააგებს). არავითარი კავშირი (ან ძლიერ მკირე, ასე რომ საღაპარაკოთაც არა ღირს) ქართველ მოზარდ თაობასა და მოწინავე ქართველთა შორის არ არსებობს, არავითარი სულიერი ვაღლენა ამ უკანასკნელთა პირველებზე არ აქვთ. ამას შემდეგ რაღა უნდა მოთხოვონ ახალ „დიპლომიან“ მომქნარ ახალგაზდა ქართველს?! საჭირო გასაკუთებელი — ურცხვია; ასი კი არა, ათასობით რომ სწავლობდენ ქართველნი და თითოული მათგანი საზოგადო სარბიელზე გამოედეს სამოღვაწოთ, ექვც, მაშინაც დაკმაყოფილდეს ოღნავაც არის ჩვენი საზოგადოებრივი მოთხოვნები, ისე არეულ-დაჩუღულია ჩვენი აწმყო, ისე ჩა-

მორჩენილი ვართ ყველაფერში განათლებულთა თანამედროვე ცხოვრებას და ჩვენ კი იმის მაგივრათ, რომ გამოვზარდოთ ჩვენი შვილები და ძმები ჩვენ სულიერ გავლენას ქვეშ, ჩვენ საჭიროებათა მიხედვით შთაუწერგოთ ახალგაზდათა მამულისა და პირადათ ჩვენი სიყვარული,—ჩვენ ვწყვეტთ მათთან კავშირს, არას დაეცემებთ მათ ბედ-იღბლისას; მოთხოვნილება კი მათზე ბევრი გვაქვს. თუ რაიმე სიყვარული, თუ რაიმე მშობლური სიბოძა თავის სამშოლოსადმი კიდევ უღვივის გულში ქართველ მოსწავლეს, ეს მისი მდიდარი ბუნების ნაყოფია, ეს უკლისათ მისი შექმნილი და აღზრდილია. ამ სიყვარულს მამული-

შე, ქვეყნის საჭიროებათა მიხედვით, 2, მიეძღვათ სხვა-და-სხვა ერებს და ჩვენც შემოვიღოთ ისეთი წესი, რომლის შემწეობითაც ჩვენმა ღარიბ მოსწავლეებმა შეიძლონ სწავლა ღ არ ანდომონ ხოლმე თავისი ძალღონე ლუკმა-პურის ძიებას. პოლონელებს, ფინებს, ესტებს, რუსებს, ციმბირელებს, სომხებს და სხვათა ჰყავთ შემუშავებული პრაგრამით ნებადართული საზოგადოებანი, რომელთ მოვალეობა არის აღვენონ თვალ-ყური მოზარდ თაობას და ღარიბებს სწავლა გაუადვილონ დახმარებით. აი, ამისთანა საზოგადოება ჩვენც გვინდა; კერძო პირების დახმარებით, ისიც შემთხვევით, გაჭირებას ვერას ვუშვებით. მდგომარეობა ჩვენის ერისა კი ისეთია, რომ



5. გრძობაკოვი.

სადმი და თავის ერისადმი ზრდაში თითქმის არა-ეის სხვას წილი არ უღვეს. აბა, დაეკითხოთ ჩვენ თავს, რომელმა ჩვენთაგანმა აღზარდა ერთი ყმაწვილი მაინც! რასაკვირველია, მე აქ არა მაქვს მხედველობაში ისა, რომ ზოგიერთ მოსწავლეს ხანდა-ხან შემთხვევით ორიოდ გროშს აწუდენენ.

მე ვამბობ იმ სულიერ კავშირზე და გავლენაზე, რომელთაც ვპოუვებ სხვა ერთა მოწინავე მოღვაწეთა და მათ ახალ თაობათა შორის. რომ ბევრი არ ეილაპარაკო, ორ წინადადებით გამოვთქვამ ჩემ სურვილს: 1, ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ უნდა აღზარდოს ახალი თაობა თავის გავლენას ქვე-

იგი ითხოვს, რაც შეიძლება, მეტ განათლებულთა მომეტებულ რიცხვს, ენერგიულ მოღვაწეთა. მაგრამ აწინდელი უნუგეშო პირობების წყალობით ქართულ მოსწავლეს ენერგია ეკარგება და ცოდნის შეძენასაც მოკლებულია. დრო არის ყურადღება მივაქციოთ ამ მოვლენას, რომელსაც დიდი გავლენა ექნება უქტველათ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მით უმეტეს, რომ ეს მოვლენა დიდ მნიშვნელოვანია ჩვენი ფიქრით...


სტულა ვ. თოჭურია.

(შემდეგი აქნება)

ალექსანდრე გრიბოედოვი და მეუღლე მისი ნინო ასული ალექსანდრე ჭავჭავაძისა

ეს შესანიშნავი მაღალი გონების და ჭკუის კაცი დაიბადა 1795 წელს მოსკოვს. ოცდასამი წლის იყო, რომ უცხო საქმეთა სამინისტროს სამსახურში შევიდა და გაემგზავრა მდინათ სპარსეთს, სადაც შაჰის კარზე შეისწავლა შეენიერათ სპარსული. შემდეგ გააწესეს ეროლოეთან, რომელმაც შენიშნა მას წარჩინებული ნიჭი, ჭკუა-გონების განვითარება და მალე წინ წასწია სამსახურში. ამ დროს ის გაე-

მეუღლე ნინო იყო თვით კარგი ნასწავლი ფრანგულს და რუსულს ენაზე. ის იყო სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის მეუღლის და. თვითონ გრიბოედოვი თავის ცოლს სილამაზით აღარებდა მეუღლით მადნას. სულიერი და ხორციელი შეენიერება ნინოსი, ამასთანავე მისი დამოკიდებულება ძველებურ მთავრებისა და სამეფო ოჯახებთან საქმარსაბუთს გვაძლევს, რომ ა. გრიბოედოვი უნდა ყოფილიყო ქართული დარბაისლობის მოყვარული ამ ერის უძველესი კულტურით და ზდილობით გატაცებული. იმან შეიყვარა საქართველო, როგორც თავისი სამშობლო და, ეჭვი არ არის, უდროით



გ. ნინო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული

ცნო თვითონში თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალს ნინოს და, როცა პეტერბურლიდან დაბრუნდა უმაღლეს ელჩათ სპარსეთის შაჰის კარზე, შეერთო ცოლათ. მეტათ შეტკივდა მას გულთ ქართველებზე და ხშირათ უჩრევედა პასკევიჩს, რომ სიფრთხილით მოქცეულა საქართველოს ზალბს, არ მოეშალა მისი შინაური წეს-წყობილება, ჩვეულება და სამართალი. მიუცილებლათ ყოველივე ეს უნდა მიეწეროს სულიერს გაელენას შეენიერის ნაზის არსებისას. მისი

რომ არ მოეკლათ სპარსეთში, ის შეიქნებოდა საქართველოს და კავკასიის მმართველი. ეს რომ მომხდარიყო, ვინ იცის, იქნება ჩვენი გონებითი წარმატებაც მისი მეოხებით უფრო ბუნების გზაზე დამდგარიყო. მაგრამ, ეტყობა, საქართველოს აქაც ბედმა უშუბთლა. გრიბოედოვი მოკლეს სპარსეთში ოცდა-თოთხმეტი წლისა. იმას დარჩა უნუგეშოთ ჩეიდმეტის წლის ქვრივი, რომელიც აღარ გათხოვედა, და კომედია „ვაი ჭკუისაგან“, რომელმაც მისი

სახელი უკედევყო რუსეთში. ა. გრიბოედოვი და მისი მეუღლე ნინო დასულავებული არიან ერთათ მთაწმინდის ეკლესიის ეკტერში, აქ მწახველის თვალს ასიამოვნებს პოეტური ძეგლი, რომელშიაც გამოქანდაკებულია ახალგაზდა ქალი: ის მუხლო-მო-

ყრილი და თავ-ჩაღუნული დასტირის საყვარელ მეუღლეს შემდეგი სიტყვებით.

„შენი გონება, შენი საქმენი
ან დაეწელება შენს სამშობლოს;
მაგრამ უდროით წისთავს გამშორდი,
რათ მიღლატე მე შენს ნინოს“.

პ ა რ ი უ ი

ახალგაზდობა *)

VII

შ არიქში ახალგაზდობას უწოდებენ სტუდენტობას. ჩემდემტ - თერამეტის წლის ემაწეული უკვე უნივერსიტეტის სკამზეა. მანამდი ის ბავშვია, მოვლა-პატრონობა ესაჭიროება, ამისათვის არავითარ როლს არ თამაშობს საზოგადოებაში, ვითომტ არც კი არსებობდეს. მაგრამ რაკი თავი დააღწია საშუალო სასწავლებელს, ის უკვე ახალგაზდაა, თავისუფალი ქცევაში, მოქმედებაში, ერთი სიტყვით ყველაფერში. ის სტუდენტია. რა არის აქ სტუდენტი? ეს არის ახალგაზდა მოქციფე, მოთამაშე, ხუმრა, ლაზღანდარა, სუბუქი ყოვა-ქცევაში და აზროვნებაში. მას ყველაფერი ფეხებზე ჰქაიდა. არაფერი არ აწუხებს ერთ საქმეს გარდა: რანაირათ ვაერთოს, დრო გაატაროს, იმხიარულოს. სტუდენტი ნიშნავს თავაშეგებულ კაცს, რომლისთვის არავითარი წეს-რიგი არ დაწერილა. ძლიერ რშვიათათ ნახეთ სტუდენტებს, რომელიც რიგიან პირს ოჯახს იცნობდეს, სამაგიეროთ მის მიერ უმოწყალოთ ითვლება ქუჩებში, ის შინა კაცია ყვა-ბანებისა და სხვა გასართობი ადგილებისა. მას აქ უთუნდება და აქ უღამდება. ოჯახში სტუდენტს ვინ შეუშვებს? პირიქით, თუ ის პარიქმივე სალომს, იძულებულია მშობლები დატოვოს და ბინა სხვაგან დაიჭიროს. შინ არაეინ მოაკეთეინებს, ოჯახს ვაკეისერისო, მისი ცხოვრება ასე მიმდინარეობს. დილას, ერთ ორ საათს ლექციებზეა, შუადღეზე სადილობს და ყვა-ბანაში მოდის, სადაც საღამომდი რჩეა. შემდეგ მიდის საგანშმით, ერთ-ორ საათს რამეს წაკითხავს და ისევ ყვა-ბანაში ბოუნდება აქ ატარებს დროს დილის სამ ოთხ საათამდი. მართალია, უნივერსიტე-

ტში დადის, მაგრამ ეს კითხვა მისთვის მეორე ხარი-სხოეანია, ფულს რამ არ იხდიდეს, შეიძლება სულაც არ წავიდეს. სამხიარულო ალაგების მუღმივი სტუდენტია, უნივერსიტეტის კი შემთხვევითი. ამასთანევე ის ანგარიშის კაცია: სწავლისათვის რამდენიმე წელიწადი აქვს გადადებული, ამის გადაცილება აღარ სურს. ამ შემთხვევაში ის ამ აზრით ხელმძღვანელობს: ნაკლები ფული დახარჯე და ბეერი იმხიარული, ნაკლები დრო (იგულისხმე ფულიც) გადადევ და ადრე დიპლომი აიღე, თუმეც ეს დრო ხანდახან უსაშველოთ გველდება. სწავლისათვის დროს არასოდეს არ ჩამოაკლებს სამხიარულოთ გადადებულ დროს, ეს უკანასკნელი თანდათან იზღდება. როცა საეგზემენოთ ემზადება, მთელი ღამე არ ძინავს, მეცადინეობს, მეორე დღეს კი ხეტიალობს, ყვა-ბანაში აღამებს. რა უშვეს, დღე იმეცადინოს და ღამე იძინოს? მაშინ ხომ გართობა დეკარგა, ამას კი ვერასოდეს ვერ დამთმობს. ერთმა სტუდენტმა მითხრა: სოფელში როცა მივდივარ, ყოველთვის ღამე ემოგზაურობო: რატომ დღე არა-მეთქო—კითხე. — იმიტომ რომ ამით დროს ვეგებ, დღე დროს ვატარებ, ვერთობი, ღამე უნდა ეძინო: ამ უკანასკნელს ეკლებს პირველისათვისო, მომიგო მან. აი, რას უტახის იქ უთუოთ სტუდენტბია. თუ საღმე ქუჩის ქალია, იქ უთუოთ სტუდენტბია; პარიქსაც ცადნია მისი ხასიათი და ცდილა, როგორმე თავიდან მოეშორებია. ამისათვის ეს ახალგაზდები ერთ უბანში შემოურეკია: დე, აქ რაც გსურთ, ის ჩაიღინეთ, სხვა უბანში აღარ დაეინახება. ამ საცქელქო უბანს ლათინური უბანი ჰქვია, თეთოთნ სტუდენტბი უწოდებენ ახალგაზდობის ქვეყანას. ეს არის მათი ასპარეზი, აქ სტუდენტი ბატონია და, როგორც ბატონი, ვინ რას გაუბედავს. ერთმა სტუდენტმა რომ მთელი უბანი შეაწუხოს, არაფერია, კანონიერია: მთელმა უბანმა რომ ერთი სტუდენტი შეაწუხოს, ყველაფერია, უკანონოა. ამ ქვეყანაში თავისებური წარმოდგენა აქეთ წეს-რიგის, ზრდილობის შესახებ. რაც აქ სასახე-

*) იხ. აგვლა № 8

ლოა, სხვა უბანში სამარცხენიაო. ჩისთვისაც სხვა უბანი ფიქრობს და მოქმედობს, ის სტუდენტებისათვის სასაცილოა. თავის უბნის გარეშე სტუდენტ ერთ დღესაც ვერ გაძლებს, მოეკედი, დაიხრჩე, სულის-თქმა მიჭირსო. ეს იმითაა რომ აქ ის ხელ-ფეხ-შეკრულია, ეს მისთვის უაზარაა, ნაობაზია. როცა სხვა უბანში გავა, ის მოქალაქეა, ჩვეულებრივ მოსაქმე პრაქტიკოსია, ეს კი მისთვის აუტანელი ტვირთია: როცა თავის ქვეყანაში დაბრუნდება, ის არის, რაც უნდა იყოს—ცელი სტუდენტია. არ იფიქროთ პარიკის დღევანდელი სტუდენტობა ცხოვრების უკანონო შვილი იყოს. არა. მისი არსებობის მიზეზი ცხოვრების განვითარებაა. მისი ისტორია შეკვეთილებელია პარიკის ისტორიასთან. შეიძლება ეს საინტერესო იყოს? მამ გადამველოთ თვლიო.

რა არის დღეს პარიკის სტუდენტობა? აზაფერი, რა იყო ამ 50 წლის წინათ? ყველაფერი. როცა ის იტყოდა, „მე“ო, ამით მთელ ქვეყანას იგულისხმებდა. რასაკვირველია მთელი ქვეყანა სტუდენტობას არ წარმოადგენდა. მაგრამ სტუდენტობა მთელ ქვეყანას წარმოადგენდა; მისი სურვილი და მისწრაფება ხალხის სურვილს და მისწრაფებას მოასწავებდა, მისი მოქმედება და მღელვარება ერის მოძრაობას წინ მიუძღოდა. ყველა დიდ არეულობას დროს სტუდენტობა ტოვებს უნივერსიტეტის კედლებს, ლექციებს, ლაბორატორიებს, წიგნთ-საკრებებს და იარაღით ხელში ქუჩაში გამოდის, როგორც უკანასკნელი მებრძოლი. ის წინამძღვრობს ხალხს, ადის ბარიკადაზე, ზურგს უშვერს თავის მომხრეებს და გულს გააფთრებულ მტერთ. სიძაბუნე, ღაწრობა მისთვის არ სუფევს. ის მეთაურობს რევოლუციებს 1830 წ. ივლისში. 1848 წ. თებერვალში. ის გამოჰყავს იდეალურ ტიპებათ საუკეთესო მწერლებს: გორე ზანდს („Horace“) ვიქტორ ჰიუგოს („Misérables“) და სხ. სტუდენტები დამღვროდენ ამგვარ სიმღერებს:

Socialisme a deux ailles
L'étudiant et l'ouvrier 1) და სხ.

ან კიდევ:

Avec les ouvriers nos frères
marchons bras dessus, bras dessous 2) და სხ.

აი, ეს იყო სტუდენტების ოქროს ხანა. მერე რაღა მოუვიდათ? საქმე იმაშია, რომ სანამ ხალხი პოლიტიკურა უფლებებისთვის იბრძოდა, ახალგაზდობაც მისი სისხლი და ხორცი შეიქმნა. მაგრამ რო-

გორც კი ხალხმა ეკონომიური კითხვა წამოაყენა, მაშინ ამ „ჩვენი პოეტურ ელემენტმა“ უარყო ის, ეს ნამეტანი პროზააო. როცა ხალხი იძაბოდა: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ სტუდენტობაც მასთან იყო, მაგრამ როცა ხალხმა მოინდომა ამ სიტყვებისთვის შინაარსი მიეცა: იქ არ არის ძმობა, სადაც ერთს ლუკმა პური ენატრება და მეორე წებობობს, მაშინ მთელი დაზარალებული ქვეყანა მის წინააღმდეგ შეერთდა. ეს მოხდა 1884 წ. იენისის თევში, პარიკის მუშა ხალხმა სოციალური რევოლუცია მოახდინა. ახალგაზდობა არა თუ დაეხმარა, დაჭრილ-დასისხლიანებულთაც კი უარჰყვეს სტუდენტ ექიმებმა. აი, რას წერდა იმ დროს კარლ-მარქსი თავის გაზეთში: „რომ ხალხის უკანასკნელი ილიულოება გამოკრალიყო, რომ წარსულთან ყოველივე კავშირი გაწყვეტილიყო, უნდა მომხდარიყო ერთი გარემოება: პარიკის არეულობების პოეტურ ელემენტებს, პოლიტენიკურ სასწავლებლის სტუდენტებს მწ. გერელთა მხარე დაეკირათ და სტუდენტ-ექიმებს ეთქვათ: დაჭრილ პლებებს ვერ მივაშველებთ ჩვენს მეცნიერებასა“. ხოლო როცა სამ წელს შემდეგ ნაპოლეონმა რესპუბლიკა გააუქმა და თავის თავი იმპერატორათ გამოაცხადა, სტუდენტები ხელ-ახლათ აშფოთდენ და მოუშვებ მიაშურეს: არიქა თოფი ხელშიო. ამაზე ერთმა მუშამ (რომლის სახელი აღარ ციან) ასე უპასუხა: „ახალგაზდა ბურჟუაზი ის მამა თქვენი იყო, თუ ზიმა თქვენი, რომელმაც იენისში (1848 წ.) დაგებრიტა და დაგეკარგა?“ აი ეს სიტყვები შეიქნა ამ საუკუნის სტუდენტობის მოძრაობის დასკვნა. სტუდენტობა, ხალხისავე დაცილებული, ცხოვრებისგანაც დაცილებული შეიქმნა. მის დაეკარგა ყოველივე იდეალი და იმ ზომამდე მოძრაობის და პროგრესის დედა-მარღვი პროლეტარიატია. ეს ახლა ყველაფერია. იდეალი, უმაღლესი ლტოლილეობა ბურჟუაზიდან გაქცეული მას შეეფარა. ის ლამობს დღეს ქვეყნის განახლებას და ამ მიზნისაკენ შეგნებულათ მიეკენება. სანამ სტუდენტობა არ დატოვებს თავის განცალკევებას და არ მიუახლოვდება მუშა-ხალხს, მანამ მას არავითარი იდეალი არ ექნება. შეასრულებს კი სტუდენტობა ამ დიდ მოვალეობას? *).

საზღვარ-გარეული
(შეშვებო ქნება)

* ამ კვანთ ლათინურ უბანში საუკუნადღეუო მოძრაობა: მუშათა დ-სის მეთაურებმა: გორესმა, ტელმა, მღელენმა და სხ. გამარჯეს სავარო ლექციო სტუდენტებისათვის. ამან ძალანა მიიტაცა სტუდენტობა. ხოლო პურჟუაზილი განხუთიო უმწიკეს, ძვავით ლექციებს მისმენეს ევა-სანამ წახელა ვრახსი!!.

1) თარგმანი: სოციალიზმს აქვს ორი ფრთა, სტუდენტო და მუშა...
2) ზვერ ქვე მუშათან ერთათ წავიდეთ სული-სული გადაღებულთ.

სიციაცხლის თასი

(დუქონტოვიდან)



ვენ ესვამთ ცხოვრების თასიდან დახუჭულითა თვალთა; ოქროს ნაპირსა ვუსვებთ ისევ ჩვენივე კრემლითა.

* *

როდესაც მოვა სიკვდილი, თვალს ავხრებდა ფარდული; რაც სიციაცხლეში გვატყდნდა, აღარ იქნება მალული.

* *

მაშინ აშკარათ მივხვდებით, ის თასი ცარიელია; ოცნება გვიჩნდა სასმელათ, აწ ისიც გაუჩრენილია.

მისა თურქია

აკვალი“ და მესამე დასის მწერლები

(ჩვენი ლიტერატურული იდეალიზმა)

წერა პირველი

Тетерявъмъ не летать по деревьямъ.

I

შემდეგ *)



ხლა ვეკითხოთ, რაგზას დადავა შემდეგი თაობის ინტელიგენცია, რომელიც დღემდის მფიფობს და ყოყოჩობს ჩვენს ლიტერატურ რაში და რომელსაც უნდა ეუწოდოთ აწინდელი ყოყოჩა ინტელიგენცია?

